

# თეატრი და ცხოვრება

1910 სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი № 29

კვირა 25 ივლისი

ფასი ორი შაური



მხატვარი გ. ი. გაბაშვილი
(სამხატვრო მოღვაწეობის 25 წ. შესრულების გამო)

მადნეულის, ხილეულის და სამკურნალო წყლის

# ქ ა რ ხ ა ნ ა

# მ. ლაღიძის და ამხ-სა

თბილისი, გოლოვინის პროსპ. № 6 ტელეფონი № 411.

# ჩვენი ქარხნის წყალი

**მზადდება მხოლოდ ბუნებრივ, ქიმიურად დაწმენდილ, ხილის წვნით და საუკეთესო ხილეულის შარბათით გამოხდილის წყლითა და წმინდა შაქრით.**

წყალი მზადდება გაუმჯობესებულ „ვაკუმის“ მანქანებით სპეციალისტის ხელმძღვანელობით

მუშტარი ადვილად დარწმუნდება, რომ ჩვენი ქარხნის

# წ ყ ა ლ ი

მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს გ ე მ ო ს ი  დ ა  ს უ ნ ე ლ ე ბ ი ს ა ა,

და თბილისის სამკურნალო განყოფილების ანალიზითაც

მ ი ს ი  კ ა რ გ ი  ღ ი რ ს ე ბ ა  დ ა ჯ ი ლ დ ო ე ბ უ ლ ი ა

ამიტომაც ჯანმრთელობის გულისათვის ეს ქარხანა ურჩევს ბბ. მომხმარებელთ, ყურადღება მიაქციონ, რადგან ზოგიერთი ვაჭრები ჩვენის სახელით სხვა ქარხნების უფრო იაფსა და მიმსგავსებულ წყალს ასაღებენ.

მოითხოვეთ ყველგან **მ. ლაღიძის** და ამხანაგობის **წყალი**

**და ამასთან მიაქციეთ ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა**

## თავსაცობი ჩვენი ქარხნის ბეჭდით

ქარხანა ხილეული წყლით **წარჩინებულ თვისებისთვის** დაჯილდოვებულია ოქროს და ვერცხლის დიდი მენდლით

10--6

განყოფილება „პროგრესის“ სტამბისა, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურთა სახლში

# თეატრი და ცხოვრება

**№ 29**

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან **Тифлисъ.**
**Редакція „Театри да Цховреба“**
**Іос. Зах. Имедашвили**

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.— ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება. —რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 12—2 ს და საღ. 6—7 ს.

ტელეფონი № 862

**№ 29** კ ვ ი რ ა, 25 ი ვ ლ ი ს ი **1910**


## 25 ივლისი 1910 წ.

**კიდევ ავტორთა ჯილდო.** მკითხველი ქვეით ნახავს ნ. შიუკაშვილის „ღია წერილს“, რომელიც ეხება საავტორო ჯილდოსა და ავტორთადმი უყურადღებობას.

ამ საგნის შესახებ ჩვენი გარკვეული აზრი უკვე გამოვთქვით ერთს ჩვენს მოწინავე წერილში („თ. დ ც.“ № 23, „ავტორთა ჯილდო“).

საზღვარგარეთისა და რუსეთის დრამატურგთ უკვე მოუარეს თავიანთს თავს. აქ საავტორო უფლება კანონით დაცულია. რუსეთში არსებობს „დრამატიულ მწერალთა საზოგადოება“, რომელსაც ჰყავს საკუთარი გამგეობა, ყოველწლივ რავდენიმე ათას მანათს აბრუნებს, მთელს იმპერიაში აჩენილი ჰყავს რწმუნებულ-აგენტები, რომლებიც წარმოდგენის ღამეს იღებენ ავტორის ჰონორარს, ფული გროვდება მთავარ-გამგეობაში და ყოველწლივ ურიგდება ავტორთ, ანუ მათს მემკვიდრეთ, რასაკვირველია, პროცენტების გამოკლებით.

სწორედ ასევე უნდა მოეწყოს ჩვენშიაც და „დრამატიულ მწერალთა საზოგადოების“ მაგიერობა იკისროს ქართ. დრამ. საზოგადოებამ, შეიმუშაოს შესაფერი წესრიგი, მთელი საქართველო რაიონებათ დაჰყოს, ყველგან აგენტები გაიჩინოს დ დააკისროს, რომ ადგილობრივ გამართულ ყოველი წარმოდგენის დროს მოითხოვოს და მიიღოს ერთხელვე დადგენილი გარდასახადი, ხოლო ასე მოგროვილი თანხიდან წლის ანუ სეზონის დამლევს ყველა ავტორ-მთარგმნელს კუთვნილი მიაწოდოს.

საქმე არც ისე ძნელია, მხოლოდ ერთხელ უნდა მოწყობა და შემდეგ ადვილია.

ეს საკითხი ყოველმხრივ მოითხოვს განხილვას და საჭიროა, რაც შეიძლება, ჩქარა მოწვეულ იქმნეს ქართულ თეატრის მოღვაწეთა სიეზდი...

## ა მ ო ნ ა კ ვ ნ ე ს ი

ნეტავ ვიცოდე რად ელვარებს მზე ცის წიაღზე,
როცა სამყაროს გარს არტყია უკუნი ბნელი,
თუ კი ვერ დაჰხევს შავს ავგაროზს, ფენილს ლურჯ თაღზე?!.
ნეტავ ვიცოდე რად ელვარებს მზე ცის წიაღზე,
სხივთა მფრქვეველი?!

საგაზაფხულო რად გაისმის ჰანგი ციური
და რად მავიწყებს წუთიერად სულის ობლობას,
თუ მას მოჰყვება ყრუ ხარხარი დემონიური?!.
საგაზაფხულო რად გაისმის ჰანგი ციური,
რად მიშლის გრძნობას?!.

სულისა ლტოლვა რად ესწრაფვის მაღლა ცისაკენ
და რად მინერგავს უკვდავების აღმაფრენ წყურვილს,
თუ კი ცხოვრება მიჰქანებს უფსკრულისაკენ?!
სულისა ლტოლვა რად ესწრაფვის მაღლა ცისაკენ,
რად მიგზნებს სურვილს?!.

**ს. აბაშელი**

## ჩემი შენიშვნები

5

მე მაინც იმ აზრისა ვარ, რომ ყოველი ხელობის კაცი თავის საქმეს თვითვე უნდა განაგებდეს.

თუ კი ეს პრინციპი მართალია სხვა სოციალურ საკითხებში, ჩვენს, მსახიობთა საკითხში რად არ უნდა იყოს მართალი?

თუ-კი მაგ., ქალთა საკითხი უთუოდ თვით ქალებმა უნდა გადასჭრან, თუ-კი მუშებმაც თავის საქმეს თვითვე უნდა მოუარონ და თუ-კი ყოველი ერი, რა გინდ მცირე და მოუმზადებელიც იყოს იგი, თვითვე უნდა განაგებდეს თავის ყოფა-ცხოვრებას, რატომ მსახიობებიც აგრე არ უნდა მოიქცენ? რატომ ისინიც არ უნდა შეერთდენ და თავიანთ თავისათვის თვითვე არ გაისარჯნენ?

რად უნდათ მაინც-და-მაინც სხვა, უცხო მზრუნველები?

მე-კი ყოველთვის უცხოდ მიმაჩნია ის პირი, რომელსაც საქმესთან თავისი მდგომარეობა და მოწოდება, ზნეობრივი და ნივთიერი მხარე არ აკავშირებს.

რა გინდ დიდის სურვილებით იყოს აღჭურვილი ეს უცხო პირი, ეს სხვა წრიდან ჩამოთესლილი, მაინც ნამდვილს სულს ვერ ჩაუდგამს საქმეს, ისე ვერ გააცოცხლებს და აღაფრთოვანებს მას, როგორც თვით ამ საქმით მცოცხლები და მისივე შემოქმედი ადამიანი.

მაგალითისათვის:

დიდია ღვაწლი ვარანცოვისა ჩვენი თეატრისადმი, მაგრამ განა იგია სულის ჩამდგმელი?

დიდი რამ არის ზემოდან ბრძანებით გადავარდნილი ბატონ-ყმობა, მაგრამ...

რად გინდათ ეს „მაგრამები“ ჩამოგითვალოთ!

კიდევ ვიმეორებ — მხოლოდ მაშინ ჩაეყრება მკვიდრი საფუძველი საქმეს, როდესაც თვით მომქმე[illegible] დაუტრიალდება თავის კერას, თორემ, როდესაც **გარედან** ხელს უწყობენ და **ზემოდან** მზრუნველობენ, იქიდან სასიკეთო არა იქნება-რა ე. ი. ხანგრძლივი და მკვიდრი.

ხელოვნურად-კი, დროებით შეიძლება წამოიფეთქოს საქმემ. ესეც ერთგვარი წამალია, შესამხაპუნებელი, დოღის დროს, ჯაგლაგ ცხენებს რომ უკეთებენ ხოლმე, მაგრამ განა დროებით გამარჯვებაზე უნდა იყოს რომელიმე რთული და დიდი საქმე დამყარებული?

უთუოა ბოლოში ჩაიჩოქებს აგრე ხელოვნურად ფეხზე დამდგარი საქმე.

აგრეც მოუვიდა ვარანცოვის თეატრს. საგანგებოდ, სუბსიდიით გაღვიებულს და მაღალ-მზრუნველობით შემთბარსა.

წაიშალა, მოისპო.

და ვინ იცის, შემდეგში ის კერძო კაცნი, ახლა უჩინარნი და მივიწყებულნი, რომ არ ყოფილიყვნენ, ჩვენი თეატრი შეიძლება დღეს ამ დონეზედაც ვერა ყოფილიყო. და რავდენია ჩვენი თეატრის ცხოვრებაში იმისი მაგალითიც, რომ მხოლოდ თვით მსახიობთა მხნეობას დაუხსნია იგი მოსპობისაგან, თორემ დრ. საზოგადოებებს ხშირად უქცევიათ მისთვის გვერდი.

დღესაც, როგორც ბევრჯერა ვთქვი, თვით საქმის სარგებლობა მოითხოვს, რომ მსახიობნი უძღვებოდენ თეატრს.

უამისოდ ხსნა და გამოკეთება ჩვენს თეატრს არ უწერია.

ვიცი ამის პასუხად რასაც ამბობენ: — ჩვენ, ე. ი. მსახიობნი იმოდენად მოუმზადებლები ვართ, რომ ამხანაგობას ვერ შევიშვნევთ, საქმეს ვერ გავუძღვებით და ერთი მეორეს თავ-პირს დავჭამთო.

ასეთ პასუხზე მუდამ მახსენდება ჩვენი მთავრობის პასუხი: რად გინდათ ერობა, ვერ მოიხმართ, მოუმზადებლები ხართო. რას აქნევთ ნაფიც მსაჯულთ, რა თქვენი საქმეაო!

ეს ორი პასუხი რომ მართალი იყოს, მაშინ ჩვენს ერსაც და ჩვენს მსახიობსაც თავის მოკვლის მეტი არა ექმნებოდათ-რა დარჩენილი. მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ ორივ ამ პასუხს სიმართლე კი არ უძევთ სარჩულად, არამედ სხვა და სხვა „პოლიტიკური“ მოსაზრებანი.

მართალია, საზოგადოდ ჩვენი ერი და კერძოდ ჩვენი მსახიობები სულ ერთბაშად მომზადებულნი არ არიან, მაგრამ ავისა და კარგის გარჩევა ყოველთვის შეუძლიანთ.

სინდისზე შეგდებული უვიცი სოფლელი სამართალს მართლაც მიუდგომლად გადასჭრის და ამისთვის სრულიადაც არ ესაჭიროება მას კანონების ცოდნა. იგივე თითქო ხეპრე სოფლელი — მის კუთხეს გზები ესაჭიროება თუ არა, ამას მშვენიერად გადმოგვცემს და თუ მაინცდამაინც მაგ, სკოლის გახსნაზე უკან დაიხია, ამაში მომზადებულები შეეშველებიან. შემდეგში-კი, როდესაც გამოიცდება, დარწმუნებული ვარ, ქსენონის გახსნასაც მოითხოვს თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის სოფელში და საფოსტო განყოფილებასაც ინდომებს.

აგრეა მსახიობთა შორისაც.

საქმე ეკონომიური მხარეა, რომ გასამრჯელოებსა და მარკებზე მორიგდენ, თორემ ისე ამხანაგობამ მაგ., კარგად იცის ხოლმე, ვინ აირჩიოს თავის ხაზინადრად, ამაში არ შესცდება. იცის აგრეთვე, ვინ იყოლიოს რეჟისორად. ყოველთვის ამჩნევენ ამხანაგები ვინ არის მათ შორის უფრო მცოდნე და უნარიანი. ვის ეკუთვნის მაგ. ადმინისტრატორობა და სხ. ძვირად მომხდარა, რომ ამხანაგობაში მათ შორის ღირსეული პირი უკან ჩამოერჩინოთ და უღირსი კი აერჩიოთ. ეს ბევრმა მაგალითმა დაგვიმტკიცა და ცხადლივ გვიჩვენა.

ისე-კი ამხანაგობის, ერთობის პრინციპი, რომ დიდად მაღალი არის ,ამას მგონი ჩემი გამოსარჩლება არ ესაჭიროება.

(დასასრული იქნება)

**შალვა დადიანი**

# ღამე

შავსა უკუნეთს, საზარ წყვდიადს ჩაუნთქავს მთები,
სევდის ნიავი მღერის ჰიმნებს სამგლოვიაროს,
უღონოდ სუნთქავს არე-მარე განაწამები,
სიკვდილის ჩრდილი დასწოლია მთელსა სამყაროს.
კაცთა სიცოცხლის მაჯის ცემა მისუსტებულა,
მაღლა, ჭაერზე, დაუღია პირი სამარეს,
ცხოვრების მთაზე ავ-სულთ რაზმი გამწკრივებულა
და შესაზარად დაჭხითხითებს წამებულ მხარეს.
ჭქრება ყოველი!.. გარყვნილება... სულის მონობა...
უგბილთა ფეხით ითელება მცნება დიადი...
მამულისშვილო, გაადვიძე მძინარე გრძნობა!
გეყოფა გახრწნა... გაითენე აწ განთიადი!
საბედისწერო შვილდი მაგრათ, მაგრათ მოზიდე,
შეუბრალებლათ ჰგმირე გულში ბნელეთის მცველსა,
წამების ჯვარი გოლგოთაზე მედგრათ აზიდე,—
მსხვერპლი სჭირია, მსხვერპლი, ძმაო, ცხოვრების
ველსა!

**ნ. ჩხიკვაძე**



# ვიქტორ ჰუგო

(პ. კოგანი)

მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა აჭრელებულ სიაში ვიქტორ ჰუგოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მისგან გავლილი ნარეკლიანი გზა დამოუკიდებლად არის გადაქელილი, საზოგადოებრივ ცხოვრების ფაქტებმა ვერ დაიმორჩილეს ჰუგოს ბუნება, ვერ წარიტაცეს. თვით ჰუგო უახლოვდებოდა ამ ფაქტებს, უპირდაპირებდა მათ თავის ფაქიზ სულს. აქ, ამ სულიერ სამყაროში საუკუნის იდეები, ზრახვანი, ოცნებანი და გულის ნადები საოცრად იხლართებოდენ, ფანტასტიურ ფერადებით ილებებოდენ, და მაშინ, როდესაც მთელი კაცობრიობა თავს ანებებდა პოეტურ ოცნებათ, იგი—ჰუგო—შეურყეველი იყო; წმინდა ხელოვნების დროშა და რომანტიზმის იდეალები მან ხელუხლებლად ჩააბარა მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს.

ვიქტორ ჰუგო დაიბადა 1802 წელს, გარდაიცვალა 1885 წელს... და მის სახელთან შეკავშირებულია მთელი მეცხრამეტე საუკუნის ინტელექტუალური ცხოვრება.

პოლიტიკურს, მეცნიერულს ან ლიტერატურულს არც ერთს მიმართულებას არ შეუძლიან სავსებით მიისაკუთროს ვიქტორ ჰუგოსმიერ შექმნილი და მის სიკვდილის შემდეგ მსოფლიო პანთეონის შესამკობად შთენილი საღარო. ხოლო იმავ დროს არ მოიპოვება არც ერთი მიმართულება, რომელმაც ჰუგოს შემოქმედებაში ვერ ჰპოვოს მდიდარი და ნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყიერი საზრდო, მძლავრი ნაკადული სიცოცხლის და განვითარებისა.

ვიქტორ ჰუგოს საფრანგეთის რომანტიზმის მოძღვრად სთვლიან.

და მართლაც, იგი გენიალური თეორეტიკოსი და დიდებული პოეტია რომანტიულ სკოლისა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გამოუცხადა ცრუ კლასიციზმს. მიუხედავად ამისა, ჰუგოს სახელი ამკობდა ფრანგთა ლიტერატურას მაშინაც, როდესაც კლასიკოსთა და რომანტიკოსთა ლიტერატურული შკოლა მატიანეს ჩაბარდა. ჰუგოს არ უარუყვია რომანტიკული მეთოდი მაშინაც, როდესაც თანამედროვე რეალიზმის შემქმნელი, სულის ჩამდგმელი ბალზაკი ნირვანის შავ ჩრდილმა შთანთქა... მაშინაც, როდესაც სწერდა ზოლა.

დროთა ბრუნვამ ვერ მოჰკლა—ვერც დააძაბუნა ჰუგო. მკითხველი საზოგადოება ყოველთვის სათნოებით შეჰხაროდა ამ თვითარსს, ბუმბერაზს ნიჭსა და მეცხრამეტე საუკუნის დასასრულამდე დიდის აღფრთოვანებით ეგებებოდა ჰუგოს ყოველსავე ახალს ქმნილებას. არც გასაკვირველია, [illegible] ამ ქმნილებაში ჯადოსნურად იყო გადახლართული მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის რომანტიული ოცნებანი და თანამედროვე ცხოვრების მაჯის ცემა.

რაში მდგომარეობს ვიქტორ ჰუგოს ამგვარ გავლენის საიდუმლოება? ამ საკითხის გარდაწყვეტა გაგვიადვილდება, თუ განვიხილავთ რომანტიზმის იმ თვისებათ, რომელნიც ბოლომდის უცვლელად შერჩნენ ჰუგოს ლიტერატურულ მოღვაწეობას.

უპირველეს ყოვლისა, ჰუგო, როგორც ყოველი რომანტიკოსი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეტრფოდა ყოველსავე განსაკუთრებულსა და არაჩვეულებრივსა. არ უღალატა ჰუგომ რომანტიკოსთა ერთ თვისებასაც—სამარადისო, აბსოლუტიურისადმი მისწრაფებას. რომანტიულ პოეზიის ეს ორი თვისება ჰუგომ თავისებურად შეუფერადა ახალ მოთხოვნილებათ, რომელნიც დემოკრატიულმა საუკუნემ პოეზიას წამოუყენა. ეს ახალი მოთხოვნილებანი,—სახელდობრ სურვილი თანასწორობისა, ყოველდღიურ სინამდვილის გულისხმად ყოფა, ხარბი შესწავლა ცხოვრების გარდამავალ მოვლენებისა—იმდენად მძლავრიყვენ, რომ ჰუგოს არ შეეძლო უყურადღებოდ დაეტოებია ისინი. ძალიან უყვარდა ჰუგოს არაჩვეულებრივი, განსაკუთრებული, მაგრამ თვით არაჩვეულებრივნი ქმნილებანი მისი ფანტაზიისა არ შორდებოდენ სინამდვილეს. ჰუგო არ აქცევდა ყურადღებას იმ გვარ მდგომარეობათ და კონფლიქტებს, რომელნიც ყოველ დღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენენ,—იგი აღწერდა იშვიათ და საოცარ კომბინაციებს, თუმცა ეს კომბინაციები დაუჯერებელ რასმე არ წარმოადგენდენ. იქნება ასეთი კომბინაცია ათას წელიწადში ერთხელ მომხდარიყო... მაგრამ იგი ერთხელ მაინც მოხდებოდა და ჰუგოსთვის ესეც საკმარისი იყო. ჰუგო მუდამ იდგა სინამდვილისა და ოცნების შუა გადებულ საზღვარზე, მაგრამ არასოდეს გადულახავს მას ეს საზღვარი, ოცნების მხარეს სავსებით არასოდეს შესთვისებია. ჩვენგანს არც ერთს უნახავს კვაზიმოდო, მაგრამ ვინ იტყვის, სიცრუეა ეს საოცარი მახინჯი, პოეტის ოცნებათა სრბოლის-მიერ აღბეჭდილიო! განა ბრწყინვალე ლორდის თავგადასავალი, მისი წანწალი ცხოვრების ნაძირალთა შორის, ხოლო შემდეგ რაღაც ყისმათისა გამო მისი წარჩინება, არ მოგვაგონებს რომანტიულ ზღაპრებს?!. მაგრამ პოეტი, რომლის შეუბორკველ ოცნების ფრენას არა აქვს საზღვარი, თავის ჯადოსნურ მოთხრობას თან ახლებს მრავალ საკანონმდებლო აქტს და ისტორიულ დოკუმენტს. იგი სწერს მთელს მეცნიერულს გამოკვლევას წარჩინებულ პირთა შვილების გატაცების შესახებ. ჰკითხულობ და გრწამს, რომ ვერც ერთი ხელოვნური სიცრუე შეედრება იმ არაჩვეულებრივ მდგომარეობათ, რომელსაც ქმნის თვით ცხოვრება; რომ ვერავითარი ოცნება შეეჯიბრება სინამდვილეს გასაოცარ კომბინაციებისა და კოლიზიების შექმნაში.

ჰუგოს რომანტიზმი არსებითად რეალიზმია. იშვიათი კონტრასტები და საოცარი პარადოქსები, რომელნიც აქა-იქ გაბნეულან სინამდვილეში, ჰფენენ ცხოვრებას ხილვის მჭრელ სინათლეს. ჰუგოს უყვარს ეს ხილვის მჭრელი სინათლე; ჰუგოს უყვარს ეს განსაკუთრებული მომენტები. ეს მომენტები,—მაგნიოსის ეს სინათლე—უმთავრესი საზრდოა მისი პოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიისა. ამ მომენტებში ჰპოებს იგი და ჰხსნის სიცოცხლის აზრს. ჰუგო რეალისტია თავის პოეზიის არსებით და რომანტიკოსი -- თავის მეთოდით. ეს ორი მიმდინარეობა—რომანტიზმი და რეალიზმი—ჰუგომ გადახლართა ერთ პოეზიად, რომლის შემქმნელიც და ერთად ერთი წარმომადგენელიც თვითონვეა.

ჰუგომ არ უღალატა არა თუ რომანტიზმის იდეალებს სინამდვილის ალბეჭდვაში, იგი შეეცადა რომანტიულ მეთოდით სოციალურ საკითხთა ახსნას. რომანტიკოსი ჰუგო გატაცებული იყო თანამედროვე საუკუნის სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებით. მაგრამ ამ სფეროშიაც არ აირჩია ჰუგომ ის გზა, რომლითაც უმრავლესობა ვიდოდა. იგი არ მიეკედლა განსაზღვრულ ჯგუფს. იგი არ ამოეფარა ამა თუ იმ დროშას. მარადისადმი ტრფიალი ხელუხლებლად ღვივოდა მის გულში, და ყოველივე ცდა—ცხოვრების მიმდინარეობის რომელიმე კალაპოტში ეპოვა თავშესაფარი,—მარცხით თავდებოდა. იგი გამოუსადეგარი პარტიული მოღვაწე იყო: ცუდი როიალისტი, ცუდივე რესპუბლიკელი. მაგრამ იგი იყო ბუმბერაზი, როდესაც გაალებულ პარტიულ ბრძოლის დროს უთითებდა სამარადისო იდეალებს, როდესაც იგი რომელიმე ჯგუფის შეხედულებას სამართლიანობაზე კერპად და შეუდრეკელად უპირისპირებდა მარადს, უცვლელს სიმართლეს. თავის რომანებში ჰუგო არ აღწერს იმ ტანჯვას, რომელიც მძიმე უღლად აწევს მუშათა კლასს, არ აღწერს იმ უბედურობას, რომელიც თან მოჰყვა წარმოებით წყობილებას. იგი განმარტავს საზოგადო ჩაგვრის საშინელებას და საზოგადო ეგოიზმის უფსკრულს.

განა ჰუგოსთვის სულ ერთი არაა—ჩაგრულ-დევნილთა ცრემლი მეთხუთმეტე საუკუნეში პარიზის ღვთის-მშობლის ეკლესიის თაღებ ქვეშ იღვრება, თუ თანამედროვე პარიზის ქუჩების ქვაფენილზე ცივ, ნესტიან შავ-ბნელ ღამეს?!..

განა ჰუგოსთვის სულ ერთი არაა, ეგოიზმი საშუალო საუკუნოების რაინდის სამოსელით აღიჭურვა, თუ თანამედროვე მექარხნის პროზაულ კოსტიუმით?!.

თანამედროვე სოციალური ავადობა, ჰუგოს აზრით, მსოფლიო ავადობის აღბეჭდვაა. უპირველეს ყოვლისა იგი ადამიანში ადამიანს ეძიებს, და არა ამა თუ იმ კლასის წარმომადგენელს. კერძო და ჯგუფის კუთვნილი მისთვის არ არსებობს. მისი გზის შუქმფენი კანდელი ყოველივე მარადი და საყოველთაოა. ჰუგო დაგვისურათებს შეუდრეკელ როიალისტს, ფანატიკოსს, მტკიცესა და გულცივს, როგორიც მარმარილოს ქანდაკებაა. ჰუგო გვაჩვენებს, როგორ სწვამს ეს კაცი, იდეით განცხოველებული, სოფლებს, თოფის ტყვიებით ხვრეტს ქალებს, დედამიწას რწყავს სისხლითა და ცრემლებით. და ეს რკინასავებრ მტკიცე კაცი, უკანასკნელი იმედი როიალისტებისა, ივიწყებს თავსაც, თავის იდეასაც, მხოლოდ იმიტომ, რომ დაიხსნას, გადაარჩინოს სიკვდილს სამი ჩჩვილი ობოლი. იმავე დროს ჰუგო ჩამოჰქმნის ფანატიკოს-რესპუბლიკელის ტიპს, კომიტეტის წარმომადგენელს. მარტოოდენ სახელის გაგება ამ რესპუბლიკელისა შიშის ზარსა სცემს მოქალაქეთ და სისხლს უშრობს ძარღვებში. ეს ფანატიკოსი სიკვდილით დასჯას გადაუწყვეტს თავის საყვარელ მეგობარს, ხოლო იდეურ მოწინააღმდეგეს. სასჯელის წინა ღამეს რესპუბლიკელი მიდის დატუსაღებულის საკანში და აქ იგი ემუსაიფება თავის მეგობარს, არა როგორც მრისხანე ფისკალი რესპუბლიკის მოღალატეს, არამედ როგორც ადამიანი ადამიანს. ეს მომენტები საყვარელია ჰუგოსათვის. როდესაც ლანტენაკი სიკვდილს ბასრ კლანჭებიდან სამს ობოლს აცლის, როდესაც სიმურდენი თავის იდეურ მოწინააღმდეგეს გოგენს ებასება, ჰუგოს მსოფლმხედველობის თვალწარმტაცი სურათი მხოლოდ მაშინ იშლება. ამგვარ წუთებში ადამიანი იშორებს ჩვეულებრივს რიდეს და აშკარავებს თავის სულის სიფაქიზეს, სიფაქიზეს მარადს, წარუვალსა და უკვდავს. მხოლოდ ამ წუთებში, როდესაც რესპუბლიკელი აღარაა რესპუბლიკელი, მონარქისტი ივიწყებს თავის მოვალეობათ, პოლიტიკურ მრწამსით დაკისრებულთ; როდესაც მოსამართლეც და ბრალდებულიც უსმენენ მხოლოდ თავის სულის გამოძახილს, როდესაც ჩვენს წინაშე ადამიანი უწვდის ხელს ადამიანს-მოძმეს, მხოლოდ ამ წუთებში ჰქრება მდგომა-

რეობათა უსწორ-მასწორობა, იმსხვრევა ჩარჩოები, უბსკრულში სცვივა პროგრამები, მარტივად და ცხადად იხსნება საუკუნო ამოცანები, ადვილად ივსება ადამიანთა დამშორებული ნაპრალნი.

ჰუგო რომანტიკოსად დარჩა სიკვდილამდე, და მასთან ერთად, რომანტიულ პოეზიას ახალი დანიშნულება აღმოუჩინა. რომანტიკოსები ეთხოვებოდენ სინამდვილეს და თავს აფარებდენ ოცნებათა სამეფოს. ჰუგომ იცნო ეს სამეფო ოცნებისა, მაგრამ მან ეს სამეფო სინამდვილის მსახურად მოიწვია. რომანტიკოსები მიისწრაფოდენ აბსოლიუტიურისადმი, ადგენდენ ტიტანიურ მოთხოვნილებათ და სძაგდათ ადამიანთა მცირე სიხარული, მცირე ჭმუნვა-ვარამი. ჰუგომ არ უარჰყო ეს ტიტანიური მოთხოვნილებანი. ამ მოთხოვნილებათა განხორციელება მან ჰპოვა ჩაგრულ კაცობრიობის ბედიღბალზე გამუდმებულ, გაკერპებულ ზრუნვაში. მხოლოდ ჰუგომ გადახლართა, ჰარმონიულად შეუერთა, მარადი ყოველდღიურს, აბსოლიუტიური—კერძოს, ვინაიდან იგი იყო რომანტიკოს-რეალისტი და რომანტიკოს-სოციოლოგი. თუ ბალზაკის რომანები მოწმობენ, რომ ლიტერატურამ თავი დაანება ოცნებას, სინამდვილის ალსაბეჭდად შეითვისა მეცნიერული მეთოდი; თუ ჟორჟ-სანდის მოღვაწეობა სოციალიზმისაკენ გადახვევაა, ვიქტორ ჰუგო და მისი შემოქმედება აშკარათა ლაღადებს, რომ ოცნებით გატაცებულმა პოეტებმა ადვილად არ დაიხარეს თავი, მუქთათ არ დაუტოვეს თავის მოწინააღმდეგეთ ბრძოლის ველი.

**პეტრე დადვაძე**

# მოგონება

**(ია იაშვილის ხსოვნას)**

ვუძღვნი ია ეკალაძეს

წყნარი დღე იყო. კაშკაშებდა მზე შუქმფინარი,
მოძრავ ქალაქში ჩრდილოები წამოეწვინა,
ქვეყნის მპყრობელის მრისხანება—შურით მგმირავი,—
სასახლის ჩეროს შეჰფაროდა და მიეძინა.
მთაწმინდის ზემოდ, სალ კლდის თავზე, გადაშლილ ველად,
ქალაქის მაშვრალთ მოეძებნათ თავშესაყარი,
ფიქრთ გასანდობად, დევნულ გულის შესაამებლად,
აქ მოეხელთათ წუთიერი თავშესაფარი.
შენც იქ იყავი. მახსოვს შენი მიმქრალი სახე,
მაყვლის თვალები, ნაღველ-გესლით გაბრწყინვებული;
შუბლით—ნათელი, გულით—წმინდა, სულით—სპეტაკი,
შენ საუბრობდი, საბრძოლველად აფრთოვნებული..
შენ საუბრობდი.. მყუდროება სუფევდა სრული,
მხოლოდ ნიავი კოჯრის ამბავს დააქანებდა,
შენ საუბრობდი, სმენა იყო გამეფებული,
და მძლავრი სიტყვა ხალხის გულსა ამღელვარებდა.
—„სიცოცხლე ჩვენი საბრძოლველი ასპარეზია,
სუნთქვაც კი, სუნთქვაც, ბრძოლა არის სტიქიონთანა...
ამარეთ ხელი! დაამხევით ძირს სპეროზია,
ამსხვრიეთ ჯაჭვი მონობისა ამირანთანა!
ამართეთ ხელი! გმირთა გმირიც წამოიზმორებს,
ბორკილს დალეწავს, გოლიათსა დაემგვასება..
ვერა, ვერ იშვნევს ამირანი ცხოვრების ტბორეს,
ის ღვთის შვილია და ღმერთსავე დაედარება!.

ამართეთ ხელი! ვაჟკაცურათ გაინავარდეთ!.
გული გაუღეთ სასიცოცხლო საუკუნესა,
ბოროტი მოსპეთ, პირქუშობა ფეხქვეშ გასთელეთ!..
ბრძოლა სტიქიონს, ბრძოლა ბნელეთს და უკუნეთსა!..“—
მახსოვს: დასდუმდი... მდუმარბედა ირგვლივ მიდამო,
ხოლო მრისხანეთ ანთებოდა ხალხსა თვალები,—
და ერთი გრძნობა, ერთი ფიქრი, რამ სადიადო,
დასტრიალებდა არე-მარეს... შენც იხარებდი!..

დაეშვა ხალხი მთაწმინდისკენ, კუშტათ მდუმარი,
ნაწრთობი რწმენა აკაჟებდა მათ გულის-ძღერას..
ხოლო მტარვალი, მუზმუზელად გამომზირავი,
ჩრდილში მიმქრალი, ამზადებდა გლოვის სიმღერას..

ჩვენ კი,—სამნივემ,—სერისაკენ დავღუნეთ თავი..
მზე, გადასული, სხივებს თვალში გვიციალებდა,
მთისა შიკრიკი, მუდამ ანცი, ცელქი ნიავი,
აბიბინებულ ველ-მინდორსა აშრიალებდა.
შენც აგიბურძნა შავი თმები, გირხევდა ულვაშს,
გადაგიკოცნა მომღიმარე, ქარქარა, ბაგე...
ოჰ, რაოდენი გულის კვნესა და ჩუმი სევდა
გაგვიზიარე... გულში ჩაგვწვდი და მით დაგვდაგე!.

შენი მრისხანე აღმაფრენა, ხალხის თვალწინა,
შენი მედგარი მოწოდება ბრძოლის ველისკენ,
ნეტავ, სად გაჰქრა, რომელ ბუჩქის ძირს მიიძინა?!
რომელმა ღმერთმა მოგაბრუნა სათნოებისკენ!?
წუთის წინ, სისხლის მოქადაგე, დაუნდობელი,
ქვეყნის დამხობად უწოდებდი დაჩაგრულ ძმასა,—
ახლა კი—სული მოკვნესარი, დაობლებული,
გადმოეშალა შენს გულღია, წრფელ გულისთქმასა!..

—„რა ლამაზია ეს ბილილა!..“—გახსოვს რო დასწვდი,
არც კი მოსწყვიტე: დაგენანა სიცოცხლე მისი;
გადაიხარე, ნაზათ, ფოხილათ მიუახლოვდი
და ეამბორე, ვით სინაზის წმინდა სინდისი...
ჩვენც წამოვგორდით, ჩავეხუტეთ მშობლიურ მიწას,
მისი გულმკერდი იონჯათი დაბურულიყო,
ნიავი ჰქროდა, უკოცნიდა ყვავილს ყვითელ ყბას..
ბინდმა მოჰბერა... მზე მთის იქით ჩამალულიყო..
ვიწექით ასე,—მიწის მკერდსა ჩახუტებული,—
და მდუმარებით შევხაროდით ვარსკალავთ ციალსა,
ყველა ჩვენგანი,—გულჩათხრობით გარინდებული,—
გადაჰყოლოდა მწარე სევდას, სევდას ტიალსა..

—„მიყვარს სიცოცხლე, ვთრთი, ვკანკალებ მისის ეშხითა,
მიყვარს სიცოცხლე და ცოცხალთა ჯალათი ვხდები!—“
გახსოვს,—წარმოსთქვი ნაღველნარევ მწარე გესლითა..
და მწუხარებამ სამივესა შემოგვკრა ფთები...

გადავიარეთ სერის კუდი... სოფელს ეძინა.
აქა-იქ ჭრაქი გამოკრთოდა სარკმელებიდან...
—„ოჰ, გაიღვიძე, შვება იგრძენ, მაშვრალთა ბინავ;
დე, მწარე გმინვა ნუ გაისმის შენის მკერდიდან“—
ვინატრეთ ჩვენა.. იონჯამაც დაგვიკრა ტაში;
ძირს, ხეობაში, წყარომ ობლათ ამოიგმინა...
სოფელს გავცქერდით ამ ღვთაებრივ მყუდროებაში
სევდა დაჰფრენდა... მისმა სიომ კვლავ დაგვალონა...
ტკბილათ ფშვინავდენ მიყუჩებულ ცის კიდურები,
ვარსკვლავთა გუნდში შემოცურდა პირ-ბადრი მთვარე,
მიწოლილიყვენ, მშვიდათ მფეთქი, მიყრილი მთები,
სიოს სისინზე ჩაინაბა გრძნობაც მწუხარე..
შენც აკისკისდი... დაგავიწყდა დღის მოგონება,
ბუნების წიაღს გაუღელე მკერდი მებრძოლი,
ბუნების შვილი ბუნებაში კვალად ახლდება,
და, ვით ნიავი, ნავარდობდი თმა-აბურძნული...
ჩავედით დაბლა. ხევის ძირზე წყარო მოსჩქეფდა,
შიგ ციალობდა მოკაშკაშე ცისა კამარა..
შენ დაეწაფე, იჭყუპალე, გრძნობა მიყუჩდა
და სევდა მწველი მიატოვე ბედის ამარა...
--სიცოცხლის გულო, გაიფურჩნე მდელოს წიაღში,
ისუნთქე ხარბად — ეგ სიცოცხლის განახლებაა,
ჩაიჭყუპალე, მოიწკუმპლე, ვით ჩვილი ბავშვი,,
ეგ უზრუნველი სიცელქე ხომ თვით ღვთაებაა!.
მთისა ნაკადი, ცის ნაცრემლი, ჩუხჩუხა წყარო,
შენი გულია, მოცინარე, ხან ფიქრთა მგვრელი,
თვით უაღრესი სიცოცხლეა, თვითვე სამყარო,
ხან მოქუხარე, მოკისკისე, ხან ცრემლთა მღვრელი!..
და ჩვენც დავსველდით, — შიგ დავალბეთ გლოვის სუდარა...
კორდს მივაშურეთ... აივანზე გავშალეთ სუფრა,
ჩვენს თვალთა წინა ციალებდა ცისა კამარა,
ძირს მთა-ველი კი ოღრო-ჩოღროთ გადაისუფრა..
გახსოვს — ლაჩრობა შემოგვწამე „გამოქცეულებს“, —
თან კისკისობდი: არ გინდოდა გეტკინა გული!.
შენ კვლავ შესტრფოდი ცხოვრებისა მძლე ფთაქცეულებს,
კვლავ აგეშალა ბრძოლის ჟინი, აღელდა სული:
— „სიკვდილი ბნელეთს! გაუმარჯოს სიცოცხლეს სპეტაკს,
გასრისეთ ყველა, ვინც სიცოცხლეს წინ ეღობება! —
წარმოსთქვი მჭექრათ.. დააშტერე თვალი იატაკს..
ჩვენც წარგვიტაცე... — უკვდავია ეს მოგონება.
ვდუმდით სამნივე. შენ შეშფოთდი, აიღე თავი:
— „უშველე კობა, საცოდავათ ირჩვის პეპელა!.“ —
გამოვერკვიეთ. მწუხრი იყო ის სანახავი:
ნაზი ფარვანა ჯამის ძირზე იბრძოდა ნელა..
შევკრთით ყველანი.. გადავხედეთ ერთმა მეორეს...
შენი სათუთი მზრუნველობა გვეოცებოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლთ მოციქული, რომ პეპლას ესარჩლებოდეს!?.
სიცოცხლის სიტკბო მწარე სიკვდილს ეცილებოდა!.

შევხედეთ კიდევ და სამივემ გადვიხარხარეთ!
ეს — უკუღმართის ცხოვრებისა დაცინვა იყო:
შენი სპეტაკი, ნაზი გული, მოსიყვარულე,
მის ფთაქცეულსა დაესერა, ორად გაეყო!...

ნეტამც იმ ღამეს განთიადი არ მოჰყოლოდა!.
დილით განვშორდით... შენ ხარფუხში ამოჰყავ თავი...
თურმე მტარვალი სახიფათო მახეს გიგებდა...
შეგიპყრეს იქვე.. მიგელოდა ცოცხალთ საფლავი!..

**ნარკანი**

## მე და ისინი!

ხა, ხა...

მე და ისინი!

მე— ალმამფრენი, მეოცნებე, თავისუფალი.. ისინი-კი—მიწაზე მოსიარულე, მატერიალისტები, დამონებულნი...

ხა, ხა...

მე და ისინი!

მე—პოეზიის მაღმერთებელი, სილამაზისა და მხატვრობის მაქებარი...

ისინი—პროზის მქადაგებელნი, უარმყოფელნი სილამაზისა და ბუნებრიობისა!

ხა, ხა...

მე და ისინი!

მე—თვითონ მბრძანებელი, სიმძლავრისა და პირველობის მოტრფიალე...

ისინი-კი—სხვისი ბრძანებით მომქმედნი, ერთი მეორეში არეულნი.

მე – ალქაფებულ, გამძვინვარებულ ოკეანეს მოსიყვარულე, თვალმიუწვდენელ სალ კლდეებზე მოხეტიალე, მძლავრად მჩქეფარე, ადიდებულ მდინარეში მოცურავი და...

ისინი?

მყუდროების მძებნელნი, გაშლილ ვაკეზე მოსიარულენი, ერთ კალაპოტში გაჩერებულ ტბაში მცურავნი!

ხა, ხა...

მე და ისინი!

მე—თავლია, მკერდგალეღილი, ცხოველ მზის სხივების ამაყად მაცქერალი და...

ისინი?

ქოლგით თავდაფარულნი, წამოსასხამში გახვეულნი, თავდახრილნი და სათვალეებით მჭვრეტელნი!

მე --თვით ბუნებისაგან მბრძანებლად შექმნილი, ისინი—მოსამსახურენი, მონანი!

რა გვაქვს საერთო!

მე და ისინი?!

ხა, ხა...

**ვანო ბარველი**

## ღია წერილი

**(ქარ. დრ. საზ. გამ. და ავტორთა საყურადღებოდ)**

სწორედ ამ ორი წლის წინად ქართ. დრამატიული საზოგადოების გამგეობამ გამოაცხადა გაზეთებში: ვისაც ორიგინალური პიესები გაქვთ, წარმოგვიდგინეთ განსახილველად და აგრეთვე შეგვატყობინეთ თქვენი ადრესი და პირობებიო. ეს იყო ზაფხულში... მე წარვუდგინე „მეგობრობა“... წარვუდგინე აგრეთვე ადრესი და პირობების შესახებ-კი მივწერე, რომ თქვენი კეთილ-სინიდისიერებისთვის მომინდვია მეთქი... „მეგობრობა“, თურმე, შეუტანიათ რეპერტუარში, რეპეტიციებს შესდგომიან, დღეც დაუნიშნავთ წარმოდგენისთვის და მე-კი უოველი ეს მხოლოდ დეკემბერში, ე. ი. ნახევარ წლის შემდეგ შევიტყე, ნაცნობის კერძო წერილიდან!... მეუცხოვა, მაგრამ გავჩუმდი... ითამაშეს ერთხელ, ჩქარა გაიმეორეს კიდეც... ჩამი-ჩუმი არსაიდან!... ასეთი უყურადღებობა გამგეობის მხრით შეურაცხყოფად ჩავთვალე და მივწერე: თუ ავტორის ადრესი და პირობები სულ მეტად მიგაჩნდათ, მაშ რაღა დიდი ამბით აცხადებდით-მეთქი გაზეთებში!... მაშინ გამგეობამ თავისი წევრის პირით მიპასუხა: გაჭირვებაში ვართ და „მეგობრობის“ უოველ მოქმედებაში 3—4 მანათის მეტს ვერ მოგცემთო!. ასეთი პასუხი მივიღე გამგეობის მინდობილობით. გავჩუმდი... იმავე სეზონში ითამაშეს ჩემი პიესა მესამედ, მაგრამ, აი, ორი წელიწადია მას შემდეგ—და გამგეობა ხმას აღარ იღებს!... გამგეობამ, არამც-თუ თავისი პირობა არ შეასრულა, ორიოდე სიტყვაც-კი არ მაღირსა—ფული არა გვაქვს და დაპირებულს ვერ მოგცემთო!...

ეს კიდევ არაფერი... დამჭირდა „მეგობრობის“ დედანი; მივწერე ხან გამგეობას, ხან მის წევრს, მივწერე არა ერთხელ, მაგრამ,... პასუხი არავინ გამცა!...

დავავალე ჩემ დას თბილისში—უარი ეთქვათ... და აქამდისაც არც პასუხი და არც ხელნაწერი არ მომიდის!.. მოგეხსენებათ,—ქართველები ვართ: არც სხვისი უფლების პატივისცემა ვიცით და არც ჩვენი უფლების დაცვა... მეც, როგორც აპატიით მოცულმა ქართველმა, მივაგდე ქვა და გავჩუმდი, თუმცა ვგრძნობდი, რომ საზოგადოებრივ თვით-შეგნების საქმეს და მოქალაქეობრივ მოვალეობას ვღალატობდი! არ ვიცი, როდემდის გაგრძელდებოდა ეს ჩემი „კეთილ-სულიერება," რომ ამ ბოლო დროს ერთს პატარა, მაგრამ საგულისხმიერო შემთხვევას არ გამოვეყვანე აპატიიდან... აი, რაშია საქმე: როდესაც ნაცნობები მეკითხებოდნენ—ავტორის ჰონორარს მაძლევენ თუ არა პირობისამებრ, მე ცალ-ყბივ ვიღიმებოდი და ვუპასუხებდი: „ნუ ოხუნჯობთ მეთქი;..." ამის გამგონი ერთი ჩემი ნაცნობი ქალი თბილისში შეხვედროდა წარსული გამგეობის ერთ-ერთ უმთავრეს წევრს და სულის ჩამდგმელს და ესაყვედურნა:„ არამც-თუ პირობის ასრულებას ვალად არ ისახავთ, ორიოდე საუკადრისო სიტყვის მიწერაც-კი მეტად მიგაჩნიათო!" იცით, რა ეპასუხნა იმ ბატონს?-„—ის-კი არ ეყოფა, რომ იმისი პიესა ვითამაშეთო!..." დრამატიული საზოგადოების მაჩანჩალა ვინმე-კი არ გეგონოთ ეს ბატონი,—დიდი, დიდი მოღვაწე!. დაუკვირდით ამ კლასიკურ ფრაზას და ბევრს რასმეს ამოიკითხავთ...

განა ავტორმა როდისმე სთხოვა იმ ბატონს,—შენი ჭირიმე, ჩემი პიესა ითამაშეთო?!.. რომ ეთხოვანა კიდეც,—შეგნებით სუსტი პიესების დადგმა ხომ უსინდისობაა საზოგადოების წინაშე!.. იურიდიულად რომ შევხედოთ ამ საქმეს,—პირობა ხომ პირობაა და პირობას გადასვლა—დანაშაული!. მაშ რითი ასაბუთებს ბატონი მესვეური თავის კლასიკურ ფრაზას?!..

ახლანდელ გამგეობას, რასაკვირველია, წილი არ უდევს წარსულის შეცოდებაში, მხოლოდ მე ვაცხადებ: უჰონორაროდ ჩემი პიესების დადგმას ვკრძალავ! ტყუილად თვალს ნუ ჟუტავთ, ბბ-ებო: განდიდების სენით არ გახლავართ შეპყრობილი და მე უკეთ ვიცი ჩემი პიესების ავკარგიანობა. ღმერთმა დაიფაროს, რომ ჩემი პიესებისთანა მცირე ნაწარმოებზე იყოს დამოკიდებული ქართული თეატრის ავ-კარგიანობა,—მე მხოლოდ მსურს ზოგიერთებს შევაგნებინო ის, რაც აქამდის ვერ შეუგნიათ საუბედუროდ!..

მოგმართავთ თქვენც, ბბ. ავტორნო და მთარგმნელნო: უჰონორაროდ ნუ დაუთმობთ პიესებს ნურსად! ეს აუცილებელია, რომ ჩვენში გაიზარდოს შეგნება და საქმიანობა! მუქთაობამ გარყვნილობა შეიტანა პრესასა და თეატრში! გადაათვალიერეთ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები და ჩვენი თეატრის რეპერტუარი: რომელი რედაქცია, რომელი თეატრი გაიმეტებდა თუნდა ერთ გროშს იმ ყოვლად უგვარო—უაზრო „ნხატვრულ" მოთხრობებსა და პიესებში, რომლებითაც ამოივსო პრესა და ნახევრად სცენაც! გახსოვდეთ, რომ ამ უაზრო „ლიტერატურას" კითხულობს და ისმენს ხალხი, უფუჭდება გული, უფუჭდება ესთეტიური გრძნობა, აზროვნება!.. რა ისეთი დანაშაულია ქართველად გაჩენა, რომ ხარჯიც გაიღო და გრძნობა-გონებაც შეირყვნა!

ეს ერთი... მეორე: მუქთაობამ გარყვნა მრავალი ახალგაზდა; იმის მაგივრად, რომ ახალგაზდამ საქმეს მოჰკიდოს ხელი,—ან დურგლობას, ან მკერვალობას, ან ვაჭრობას, ან პროვინციაში გავიდეს სამუშაოდ,—ზის თბილისში, სწხაპნის უგვანო ლექსებს, მოთხრობებს, პიესებს,—რედაქციებიც უბეჭდავენ, მას თავი მწერლად მოაქვს და ნახევარ-მშიერი ისპობს სიცოცხლესა და საქმიანობის უნარს!..

განა ამ გარყვნილობის მიზეზი მუქთაობა არ არის?!.

რად გვინდა ათი რედაქცია?! იყოს ორი, სამი და **რიგიანი!** ხელის მომწერიც საკმარისად ეყოლებათ და, ასე-თუ-ისე, ნიჭიერ მწერლებსაც ჰონორარი მიეცემათ!

არც ერთი უვარგისი ნაწარმოები არ უნდა ეღირსოს სცენას,—არც ერთი რიგიანი ნაწარმოები არ უნდა დარჩეს უჰონორაროდ!

ენაზედა აქვთ დაკერებული: თეატრს ისეც დეფიციტი მოსდისო!,. დაე,—ავტორების ჰონორარი დიდს არას შეადგენს, მაგრამ „განწმენდილი" და სწორე გზაზე დამდგარი სცენა, ამ დეფიციტს სამემრისო აქტივად ჩაითვლის!

განა პროვინციებისთვის-კი ძნელი საქმეა 3—4 მანათი გადიხადოს ყოველი წარმოდგენიდან ავტორის სასარგებლოდ?! არა და არა!.. ავტორს-კი ეს მატერიალურად და ზნეობრივადაც გაამაგრებს! მაშ რაშია საქმე?! ჩვეულება, ბატონებო, ჩვეულება!.. დაუფიქრებლობა და შეუგნებლობა!..

რა მოეთხოვება დაბა-სოფლების წვრილ ინტელიგენციას, როდესაც ჩვენი კულტურული ცენტრის ცენტრი ასეთ შეუსაბამობას გაიძახის: „ის-კი არ ეყოფა, რომ იმის პიესას ვთამაშობთო!"

არა, ბატონო, არ მეყოფა და გიკრძალავთ კიდეც!.. **ნ. შიუკაშვილი**

PS. ეს ჩემი მოწოდება იმ წვრილმან გრძნობის ავტორთ არ ეხებათ, რომელთაც „ისიც ეყოფათ, რომ მათს პიესებს თამაშობენ!" **ნ. შ.**

# საბედისწერო დამბაჩა

(დასასრული. იხ. „თ. და ც." №№ 26, 27, 28)

სურათი II, იგივე სცენა.

ფარდის ახდისას **ფილიპე** განმარტოებით სდგას და შორს იცქირება. **იულონი** და **მელიტონი** აივანზე პატარა მაგიდას უსხედან და ჭადრაკს თამაშობენ. **როდამი** საჩქაროდ გამოდის სახლიდან, უეცრივ შენიშნავს ფილიპეს და გასჩერდება.

I

**იულონ**, **მელიტონ**, **ფილიპე** და **როდამ**

**როდ.** რომელი ხარ მანდ?

**ფილ.** მე ვარ, ფილიპე.

**როდ.** ფილიპე? (მისკენ მიდის) მერე?

**ფილ.** არაფერი. მახარობელს ვათვალიერებ. მაგრამ ჯერ არსადა სჩანს.

**როდ.** რა დროსია, წამოსულიც არ იქნებიან.

**ხმა.** (კულისებიდან) როდამ! როდამ!

**როდ.** უჰ, ჯერაც არ დაგიძახნიათ!

**ხმა.** (კულისებიდან) როდამ! როდამ!

**როდ.** მოვდივარ! მოვდივარ! (ფილიპეს) ბატონ-კაცო! ბუზების ყლაპვას, ისა სჯობიან საქმეს მიხედო. ხომ იცი, დღეს ქორწილია.

**ფილ.** (მიჰხედავს) ბებერი კუდიანი! ნეტავ, როდის ჩაძაღლდება!

**იულ.** (უკანასკნელ ჭიქას გადაჰკრავს) ფილიპე!

**ფილ.** ბატონო!

**იულ.** ღვინო!

**ფილ.** ამ საათში. (ცარიელ ბოთლს აიღებს და გადის)

**მელ.** იულონ, იკმარე ორი ბოთლი. დანარჩენი შემდეგ.

**იულ.** ეგ შენ არ შეგეხება.

**მელ.** გულის ფრიალი?!

**იულ.** ჯანაბისაკენ გზა ჰქონია. ჩემს საქმეს მაინც ვერა გამოაბრუნებს-რა. განა სულ ერთი არ არის, დღეს ამომხდება გაძაღლებული სული, თუ ხვალ? განაგრძე, განაგრძე!

**მელ.** მახლას, იულონ, მახლას!

**იულ.** ეხ, თავი დამანებე!

**მელ.** სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილია...

II

იგინივე და **ფილიპე**

**ფილ.** (ბოთლით ღვინოს დაუდგამს წინ და გადის)

**იულ.** (ერთ ჭიქას გადაჰკრავს) ესეც ასე... შენ რომ ჩემს დღეში იყო, უარესს ჩაიდენდი. საქმე მიჩვენე, საქმე, თორემ თქმა ადვილია. მომაშორე ის ასი ათასი მანათი ვალი და პირობას გაძლევ—ერთ თვეში ფეხზე დავდგე.

**მელ.** არა, ძმაო, ვერ ვიკისრებ,—შენი გამობრუნება მეტად ძვირად ღირებულა.

**იულ.** მაშ, გაჩუმდი და უკანასკნელი ნუგეში მაინც ნუ გშურს ჩემთვის. ჭკუიდან შეშლას, ისევ ლოთობა სჯობიან.

**მელ.** (თავის ქნევით) „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო„.

**იულ.** (სვამს და მღერის)

„ისევ და ისევ ღვინითა, ჰარიალალე,
დროც გავატაროთ ლხინითა, თარიალალე"...

(ამ დროს მესერს გადაღმა ჩანჩქერისკენ ერთი წყება ქალ-ვაჟი ჩაივლის სიცილ-კისკისით)

**მელ.** (ადგება და ძირს ჩამოდის)

**იულ.** მელიტონ, საით? მოიცა!

**მელ.** არა მსურს.

**იულ.** არა გსურს? ამ ჩემს ფეხებს... (ბოთლს მოიყუდებს და გამოსცლის) ახლა არც მე მსურს. (ადგება ბარბაცით და ისიც ძირს ჩამოდის) უმჯობესია, ბაღისკენ გავისეირნოთ და ცოტა გამოვიძინოთ სუფთა ჰაერზე. (გადის მარჯვნივ სიმღერით)

„ისევ და ისევ ღვინითა" და სხვა..... (კულისებში ისმის სიცილ-კისკისი)

**მელ.** (პაპიროზს გააბოლებს)

III

იგივე, **ტიტო** და **შაქრო**

(ახალგაზდა თავადნი, ჩერქეზულად ჩაცმულნი ხმალ-ხანჯლით. ტიტოს პრაპორშჩიკის პაგონები აქვს)

**ტიტო** აი, სადა ბრძანებულა ჩვენი პედაგოგი.

**შაქრო** კაცო! რათ მიატოვე საზოგადოება? ქალები ცემას გიპირობენ.

**ტიტო** (ირონიით) ალბათ მოსწყინდა. ხომ იცი ბრძენია, არა გვკადრულობს. (ხარხარებენ).

**შაქრო** ერთი მითხარი, თუ ღმერთი გრწამს, აქ მარტო რას აკეთებდი?

**მელ.** მე და იულონი ჭადრაკს ვთამაშობდით. (მიუთითებს აივანზე)

**ყველანი** იულონი?

**შაქრო.** აი, ბოთლიც!

**ყველანი** გადაუკრავს, გადაუკრავს. (ხარხარებენ)

**ტიტო** ახლა სადღაა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მელ.** ბაღში გავიდა, „გამოვიძინებო“!..

**ყველანი.** (იცინიან)

IV

იგინივე **ფილიპე,** მერე **ანდრო**

**ფილ** (ადის აივანზე, ჭადრაკს სახლში შეიტანს, გაბრუნდება, ცარიელ ბოთლს აიღებს და გადის)

**ხმა** ტიტო! შაქრო!

**ყველ.** აქა ვართ, აქა!

**ყველ.** რა ამბავია, რა მოხდა?

**ანდრო** ყმაწვილებო! დღეს დიდი ქეიფი მოგველის და, აბა, თქვენ იცით. მზარეულმა მითხრა: ოცი თავი საჭმელი მოგერთმევათო. ირმის შიშხინა მწვადები რამდენიც გნებავთ!.. მერე, ღვინოს არ იკითხავთ?

**ყველ.** ჯან, ელეფთერ!

**ანდრო** ლუდი და შამპანიური ბოჭკებით არის, თურმე, მოტანილი.

**შაქ.** ეგ ყველა კარგი, მაგრამ თამადათ ვინ ავირჩიოთ?

**ტიტო** ვინა და—გიგო.

**ყველა** უსათუოდ, უსათუოდ.

**ტიტო** ენაწყლიანი კაცია და გვასახელებს.

**ანდ** და მასთან—ღვინოსაც ბლომად მიირთმევს.

**შაქ.** ნეტავი თუ მოვიდა?

**ანდ.** მოვიდა და კნეინა ციცინოც მოგვიყვანა.

**ყველანი.** მართლა? ურაა!..

**ანდ.** ახლა არჩილსღა ელოდებიან და საქმეც გაიჩარხება. მხოლოდ ქალებში ერთ ერთი ჩვენთაგანი უნდა ჩაჯდეს ბეჭის სათღელად, თორემ, თუ გიგუცამ დაგვასწრო, ჩვენი საქმე წასულია. უწინარეს ყოვლისა ხუცესი მივათროთ, მერე-კი, როცა საჭიროება მოითხოვს, ბოთლებს სტაცეთ ხელი და, ვინც არ დალიოს, თავში სთხლიშეთ.

**ყველ.** უსათუოდ, უსათუოდ!

**ანდრო** მართლა, ფოფოდია ხომ იქნება?

**ტიტო** იქნება მაშ! ვენაცვალე ბროლის ყელში!

**მელ.** ყმაწვილებო! ასე რომ იქაჩებით, თქვენ მოპატიჟებულნი-კი ხართ?

**ყველ.** გიჟია ოხერი!

**ანდ.** აფუ! მეორედ არ წამოგცდეს, თორემ ბიძაშვილობას იქით მივაგდებ და მაგ პენსნეს თვალებში ჩაგამსხვრევ.

**ტიტო** დამაცა; ჯერ პრისტაობა მივიღო, მერე მე ვიცი, როგორც გაგისწორდები. ეს ულვაშები შემირცხვეს, თუ ოდესმე ჩემს საბრძანებელში გაბოგინო.

**მელ.** კარგია ერთი ნუ ახირდებით. ისე ფათურობთ, თითქოს თქვენი სულისკვეთება გამოცანა იყოს.

V

იგინივე და **კნ. ციცინო**

**ყველ.** აა, კნეინა ციცინო, კნეინა ციცინო! (გაექანებიან და მოწიწებით ეამბორებიან. მელიტონი ხელს ჩამოართმევს)

**ციცინო** (შუა ხნის ლამაზი და ეშხიანი ქალია, აცვია ევროპიულად) რაღაცა გულიანად იცინოდით. არ შეიძლება, ჩვენც ვიცოდეთ?

**შაქ.** ჰკითხეთ მელიტონს, ძალიან ენა-მახვილი კაცია ეს გასაქრობი. მუცელზე კანი არ შეგვარჩინა

**ციც.** მართლა?! (სხდებიან) იულონი არ გინახავთ?

**შაქ.** თქვენი იულონი აგერ განისვენებს ბაღში.

**ციც.** როგორ...

**ანდ.** ისე... თავისი მოვალეობა ადრევე შეუსრულებია...

**ციც.** ვაი, სირცხვილო!

**შაქრო** არხეინად ბრძანდებოდეთ. საცაა ადგება და დარწმუნებული ვარ, გვასახელებს.

**ციც.** სხვა, როგორ გუნებაზე ხართ, ყმაწვილებო, გაგ[illegible]რინდათ განა, ტურფა ხვარამზე! (კისკისებს) მოგეჭრათ თავი, გაჯობათ ყარაძიაშვილმა. (მელიტონს) რაო, ვითომ, განა თავისიანებში გაწყდენ შესაფერი კაცები, რომ მაინცა და მაინც ის აირჩია?

**მელ.** ეჰ, კნეინა! ვგონებ დროა ზურგი შევაქციოთ გაცვეთილ რწმენას.

**ციც.** თქვენის აზრით, არც ეს მარგალიტი ყმაწვილები იყვენ ხვარამზეს ღირსნი, რომ ყველას უარი სტკიცა?

**მელ.** რა შედარებაა, ბატონო, ყარაძიაშვილთან! (ყმაწვილები შეუბღვერავენ. ამ დროს სცენის გარედან მოისმის თარის ხმა)

**ციც.** ჩუ!

**ყველ.** აჰა, არჩიკო მოსულა, არჩიკო მოსულა!

**ციც.** მაშ ჩვენც იქ წავიდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყველ.** წავიდეთ, წავიდეთ! (მიდიან ჟრიამულით. მელიტონი ბაღში გადის)

VI

**ონისე** და **ზალიკო**

**ონისე** გზაში არ შეგხვედრია?

**ზალ.** არა. რაკი წიფეთში იწერენ ჯვარს, დიდ-ხევით წავიდოდენ. კარგები იყვენ განა?

**ონისე** ავ თვალს არ ენახვებოდა. რა ტურფა დ ერთიმეორის შესაფერი ნეფე-დედოფალი, რა დაკაზმული მაყრიონი! რაც ჩვენს არემარეში ლამაზი და კოხტა ბიჭები იყვენ, ყველას იმათ გარშემო მოეყარა თავი. ნეფის მამა არწივი მიქელა ხომ თავის კანში ვერ ეტეოდა.

**ზალ.** რეზიკო სად არის?

**ონისე** ხარატიენში.

**ზალ.** რატომ.

**ონისე** მძიმე ავადმყოფთან გაიწვიეს. ცოტა შეაგვიანდა. შეშინებული მამა მისი შარაზე გავიდა შესახვედრათ.

VII

იგინივე და **როდამ**

**როდ.** (შეშინებული)

**ონისე** რა ამბავია, დედა, რამ შეგაშფოთა?

**როდ.** ბიჭო, რა გულ-ხელი დაგიკრეფია, კაცი არა სჩანს, იღონე რამე.

**ონისე** ბიჭები დაბრუნდენ?

**როდ.** დაბრუნდენ და არავინ იცის, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

**ონისე** სწორედ არ ვიცი, რა წყალში გადავარდე?

**როდ.** (ხელებაპყრობილი) მოგვხედე, უფალო! უფალო, ნუ გასწირავ შენგნით გაჩენილ ადამიანს, შეიბრალე ჩემი და ბატონის ქალარა. შეიბრალე ნეფე-დედოფალი, ნუ მოუშხამავ იმათ ამ ბედნიერ დღეს.

**ზალ** ილოცე როდამ, ილოცე! დიდია ღვთის განგება და შენს ვედრებას შეისმენს.

**ონისე** დღეს ექიმიც უნდა მოსულიყო და არც ის არის. ესეც ერთი უბედურობაა.

**როდ.** რომ მოსულიყო, ვილას დაახვედრებდი? სადღაა ჩემი ცოდვით სავსე, შენი ავადმყოფი ძმა, სად?

**ონისე** დედა! უსამართლო დედა! ისე ამბობ, თითქო ერთს და იმავე დროს ყველაფრის გაკეთება შემეძლოს. ვერ დაინახე, დაჩოქილი ვთხოვდი გამოგყვები-მეთქი, მაგრამ რომ არ გამიკარა!

**როდ.** (გადის)

VIII

იგინივე და **ელეფთერ**

**ელეფ.** (შემოდის სცენის სიღრმიდან ძლიერ მოწყენილი ეტყობა მოქანცულობა. ოფლს იწმენდავს და თავდახრილი სახლისკენ მიდის)

**ზალ.** ბატონი მიცოცხლოს ღმერთმა!

**ელეფ.** (შედგება და მიხედავს) აა, ეგ შენა, ჩემო ზალიკო? გაგიმარჯოს! (ხელს ჩამოართმევს) უკაცრავათ, ვერ შეგნიშნე.

**ზალ.** კაცურად, ბატონო, კაცურად.

**ელეფ.** (ონისეს) არავინ მოსულა?

**ონისე** როგორ არა, ბატონო, სტუმრები ყველანი აქ არიან.

**ელეფ.** ექიმი?

**ონისე** ჯერ არ გხლებიათ.

**ელეფ.** ისე ხომ ყველაფერი მზად გაქვს.

**ონისე** დიაღ, ბატონო.

**ელეფ.** მემუსიკენი?

**ონისე** არ მოსულან.

**ელეფ.** რა ღმერთი გასწყრომიათ. იმათაც ხომ არ აშინებს ჩემი ოჯახი. მემუსიკეთათვის ხომ მზად არის დიდი ხეივანი?

**ონისე** დიაღ.

**ელეფ.** თოფის ხმა გაიგონეთ?

**ონისე** არა.

**ზალ.** მე გავიგონე, ბატონო.

**ელეფ.** საიდან მოგესმა, ან ვინ იყო, თუ იცი?

**ზალ.** სოფელში ამბობდენ, მონადირე სიმონამ დათვი მოკლაო.

**ელეფ.** შენს პირს შაქარი!

**ონისე** მე წავალ.

**ელეფ.** საით?

**ონისე** ხარატიენში.

**ელეფ.** იქიდან გამოსულა კიდეც.

**ონისე** იმის იქ ყოფნას რაღაც გული მიგრძნობს...

**ელეფ.** როგორც გენებოს. ღმერთი იყოს, შვილო, შენი შემწე. თუ ცოცხალს მომგვრი და გამახარებ, მე ვიცი და ჩემმა კაცობამ... ეჰ, მეც რასა ვბოდავ! განა ის შენთვისაც ისეთივე ძვირფასი არ არის?

**ონისე** (გადის)

**ელეფ.** (ამოიოხრებს)

**ზალ.** ნუ მოგიღრუბლია, თავადო ელეფთერ.

**ელეფ.** არც თუ გასახარელი მაქვს რა.

**ზალ.** ღმერთს რათა სცოდებ შენი ჭირიმე.

**ელეფ.** (ცივად) ეჰ, ჩემო ზალიკო, რადროს ეგენია.

IX

იგინივე და **მახარობელი.**

**მახარ.** (ახალგაზდა კაცია, კოხტა ჩერქეზული ტანისამოსით, წითელი აბრეშუმის ხელსახოცი აქვს მკლავზე გადაკრული) გილოცავთ, ბატონო, შვილის გაბედნიერებას.

**ელეფ.** გმადლობ, ჩემო ლევან, უკვე?

**მახარ.** დიაღ, ბატონო, მოდიან დიდის ამბით. საცაა მაყრულს გაიგონებთ. (ოდნავ გასაგონად მოისმის მაყრული, რომელიც ფარდის ჩამოშვებამდე ტკბილად მოისმის შორიდან) ჩუ! აი, ბატონო. აკი მოგახსენეთ.

**ელეფ.** აჰა მესმის, მესმის! (ფულს აძლევს)

**მახარ.** გმადლობ, ბატონო. ღმერთმა ნუ მოგვიშალოს შენი სიუხვე. (სჩქაროთ გადის)

**ელეფ.** (ზალიკოს) ზალიკო, გეთაყვა, გამომყე სახლში, ცოტაოდენი საქმე მაქვს შენთან. (შედიან სახლში)

**ხმა** (კულისებიდან) მოდიან, მოდიან! (იმავე დროს შორიდან მოისმის რაღაც გამოურკვეველი ზუზუნი. იმ წამსვე მარჯვნივ გაირბენენ **როდამი** და რავდენიმე მანდილოსანი. გარბენის დროს ერთს გასჭვრეტენ შორს და ბელიკზე მიეფარებიან, გაირბენენ: იმავე წამსვე მოისმის მათი გულსაკლავი წივილ-კივილი სწორედ ამ დროს სახლიდან გამოდიან **ელეფთერი** და **ზალიკო**)

X

**ელეფ.** რა ამბავია, რა ამბავია? (ონისე, კორდელი და რავდენიმე გლეხი საკაცეთი შემოასვენებენ რეზიკოს გაცივებულს გვამს. ელეფთერი ერთს შეჰკვირებს და თავზარდაცემული გაშეშდება)

**ფ ა რ დ ა**

**ტრიფონ რამიშვილი**

## ბედო, პირშავო!..

რათ დამცინი, ბედო ჩემო, რისთვის შეგძულდი?..

იქნება ჩემმა ფეხზე წამოდგომამ, ენის მეტყველებამ, სმენის სიმახვილემ, გემოვნებამა და მხედველობამ შეგაშინა?..

გარშემო რათ მიწამლავ ჰაერს, რისთვის მახვევ შავ ნისლთა და მიგებ მახესა?!. რისთვის გამიღვიე სიყვარული, რისთვის მაჩვენე გზა ტკბილი ცხოვრებისა, რისთვის დამისახე იდეალი, თუ აგრე მწარეთ დამცინებდი?!.

მუხთალო ბედო!.. შენ გიკავია ცხოვრების ნექტარი და დარაჯათ შემოგიჩენია შხამღვარძლიანი ბოროტი სული...

დაე, ხელთ გეპყრას, თუ შესძლებ!.. ამით ვერ შემაშინებ!...

აგერ, მაღლობში, ედემის მგზავს ყვავილნარში, სიცოცხლის წყარო ჟუჟუნებს...

მივექანები მისკენ!..

არ მაშინებს, შავო ბედო, მახე, შენგნით დაგებული, ვერ მომდრეკ, ვერ დამჯაბნი!..

ფრთებს შევისხავ, მთა-ღრეებს გადავფრინდები, ძირს მოვიკრებ, დღე-ღამ ვივლი!..

გინდ დავიარავდე სხეულით, დავიცალო სისხლითა, გინდ დავუძლურდე ულმობელ სენით, მაინც არ დავეცემი სულითა!..

გზას გავწმენდავ, დავეწაფები ცხოვრების წყაროს, მოვიკლავ წყურვილსა, და მაშინ გეტყვი: „ბედო, პირშავო, მე ჩემი გავიტანე და ახლა თუ გინდ მომკალი!..“

**გიორგი ფოცხოველი**

# დიქცია

(გაგძელება. იხ. „თ. ც.“ № 28 )

VII

**თამაშობა თუ ცხოვრება**

თამაშობა თუ ცხოვრება? აი კითხვა, რომელიც ორ ჯგუფად ჰყოფს სცენის მოღვაწეთ. თამაშობა თუ ცხოვრება? ე. ი. მსახიობმა თავისი როლი უნდა აცხოვროს, თუ ითამაშოს: იტიროს იმისთვის, რომ საზოგადოება ატიროს, იცინოს, რომ საზოგადოება აცინოს, თუ იგი უნდა დარჩეს მბრძანებელი თავის თავისა უოველ შემთხვევაში რომ ყველა გრძნობანი მის ხელთ იყოს?

ვინ არის მართალი?

რასაკვირველია, ის, ვინც ამბობს, როლს თამაშობა უნდა და არა ცხოვრებაო, ის ვინც ამბობს, მსახიობმა უნდა ატიროს, აცინოს, ააღელვოს საზოგადოება და თვით კი დარჩეს მბრძანებელი თავის გრძნობებისა, რადგან ხელოვნება მხოლოდ ამაშია..

„მსახიობმა არ უნდა იცხოვროს და არც შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიან ცხოვრება თავის როლისა,“ — ამბობს დიდებული კოკლენი

დიად, ამავე ფრაზას გაიგონებთ ყველა ხეირიან მსახიობისა და სერიოზულ რეჟისორისაგან.

ან კი როგორ შეუძლიან მსახიობს თავის როლის ცხოვრება? და რას ნიშნავს ეს სიტყვა—ცხოვრება. „დაივიწყე, რომ შენ პეტრეს როლს თამაშობ ისე მოიქეცი, ვითომ შენ გეხებოდეს ესაო. აი, რას ნიშნავს ცხოვრება! მერე ამითი რა გამოვა? ის, რომ მსახიობი პავლე, რომელიც თამაშობს პეტრეს როლს დღეს, დაივიწყებს თავის თავს, ე. ი. ცხოვრობს, ხვალ აგრედვე ითამაშებს ივანეს როლს, ხვალზევით აგრედვე ანდუყაფარის როლს და სხვა. რაკი პავლე ივიწყებს ყოველისფერს და ცხოვრობს, იგი მუდამ დღე აჩვენებს საზოგადოებას თავის თავს და არა იმ ტიპს, რომელიც უნდა დახატოს. რითი განსხვავდება პეტრე ივანესგან, ანდუყაფარი მიკირტუმასაგან? ხასიათით, ჩვეულებით, და სხვა. თუ პავლე მსახიობი ივიწყებს თავის თავს და პეტრეს, ანდუყაფარის როლით ცხოვრობს, მას შეუძლიან თამაშობაში წამოისროლოს ისეთი ჟესტი, ისეთი მიმიკა, რომელიც ანდუყაფარისა და პეტრეს ტიპს არ შეეფერება და ამითი გააფუჭოს როლი. მაშასადამე, როცა მსახიობი თავის როლით ცხოვრობს, როცა მას ავიწყდება თავის თავი, იგი ავტორის-მიერ დახატულ ტიპს-კი არ თამაშობს, არამედ თავის თავს იმ განსხვავებით, რომ გაზეპირებულ სიტყვებს ისვრის, და მხოლოდ გაზეპირებული სიტყვების სროლა, თუ მას არ მოსდევს პეტრეს ყველა დამახასიათებელი თვისება, მიხვრა-მოხვრა, ვიმეორებ იგი პეტრე არ არის, არამედ თვით მსახიობია.

მსახიობმა უნდა იტიროს თვითონ, რომ ატიროს საზოგადოება.

ანუ, როგორც ამბობდა ფილოსოფოსი paur m'emauvoir, emeus tui dabord' ეს დიდი შეცდომაა. წარმოიდგინეთ მსახიობი, რომელიც მართლა ტირის, გულით ტირის, ახდენს ეს შთაბეჭდილებას საზოგადოებაზე? დიახ საზოგადოებაზე ახდენს შთაბეჭდილებას, რასაკვირველია, მაგრამ როგორს საზოგადოებაზე?—საქმე ამაშია,—საზოგადოებაზე რომელიც თეატრში დადის გასართობათ, სეირის საყურებლად, რომლისთვისაც სულ ერთია ცირკში ჭიდაობის სანახავად წავა, თუ ხელოვნების ტაძარში, რომელსაც ხელოვნებისა იმდენივე გაეგება, როგორც შენ და მე ჩინური ენისა; აი, ერთი ნაწილი საზოგადოებისა, რომელიც ტირის, როცა შეხედავს და ისმენს მომტირალე მსახიობს, რომელიც ტირის მხოლოდ იმიტომ, რომ მსახიობი ტირის. არის კიდე მეორე კატეგორია საზოგადოებისა, რომელიც ტირის: ესენია გულჩვილები, სანტიმენტალისტები; არის მესამე კატეგორია—ეს ისეთი, რომელსაც ესმის ხელოვნება. ასეთი საზოგადოება ყველა ქვეყნებში ცოტაა, და ნამეტნავად ჩვენში. ეს საზოგადოება ტირის მხოლოდ მაშინ, როცა ჰხედავს ხელოვნების ძალას. პირველი საზოგადოება დაკმაყოფილდება მხოლოდ იმითი, რომ მსახიობმა იტიროს და ყველა სიტყვები ულაპოს, ხმაც ცუდათ იხმაროს, რადგან, რაღა თქმა უნდა, აღელვებული კაცი ხმას ისე ვერ ხმარობს, როგორც დამშვიდებული, მაგრამ მესამე ჯურის საზოგადოება ამით არ დაკმაყოფილდება. მეტყვით ცხოვრებაში განა აგრე არ არის? განა აღელვებული ადამიანი სიტყვებს არ ჰყლაპავს. განა... და სხვა. მართალია, მაგრამ ნუ გავიწყდებათ, რომ ცხოვრება ცხოვრებაა და ხელოვნება ხელოვნებაა. როცა თქვენ ცხოვრებაში რამე უბედურება შეგემთხვევათ და სტირით, შეგიძლიანთ იტიროთ ერთი საათი, ორი საათი, სამი-ოთხი დღე, მაშინ, როდესაც თეატრში ეს არ შეიძლება, რადგან ხმა თქვენთვის საჭიროა რამდენიმე წუთის შემდეგ. ეს რამდენიმე წუთი უდრის (და ასეც არის) რამდენსამე დღეს... მუსიკოსისთვის საჭირო არ არის აღელვება და სასოწარკვეთილება, რომ კარგად დაუკრას შოპენის და ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარში. აღელვებულმა იქნება ისე ცუდათ დაუკრას, რომ მსმენელი ადგეს დარბაზიდან გავიდეს. პირიქით მსახიობმა უნდა ისწავლოს თავისი როლი, შეჰქმნას პირი, ისწავლოს ყოველივე ინტონაცია ხმისა ამა თუ იმ რეპლიკისთვის, ისწავლოს ყოველივე ჟესტი, ყოველივე მიხვრა-მოხვრა, სახის გამომეტყველება, ერთი სიტყვით, ყოველისფერი წვრილმანი უნდა კარგად ჰქონდეს გათვალისწინებული და შესწავლილი, ნათლად უნდა ესმოდეს, რასაც აკეთებს, და წარმოდგენის დროს იყოს მშვიდი, მბრძანებელი თავის გრძნობებისა, ცრემლებისა და სიცილისა, არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ იგი სცენაზეა, არ უნდს ავიწყდებოდეს, რომ პეტრე ჰქვიან და თამაშობს ანდუყაფარის როლს, არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მან უნდა თავისი როლი ითამაშოს და არა იცხოვროს, გონება ნათელი უნდა ჰქონდეს, ხელში უნდა ეჭიროს ყველა ჩაქუჩი სიმებზე დასარტყმელად ისე, როგორც კარგ ლოტბარს უჭირავს ხელში ორკესტრი; უნდა ისწავლოს თავისი როლი ისე, როგორც მუსიკოსა სწავლობს

შოპენის ან ბეთჰოვენის სამგლოვიარო მარშს, ან კიდევ სხვა რამეს, ერთი სიტყვით, როლის მბრძანებელი უნდა იყოს მსახიობი და არა როლი მსახიობისა. მსახიობს უნდა ეკუთვნოდეს როლი და არა როლს მსახიობი. მხოლოდ ამ შემთხვევაშია მსახიობი ხეირიანი, მხოლოდ მაშინ არის იგი ხელოვნების მცოდნე, მხოლოდ მაშინ ახდენს იგი საჭირო შთაბეჭდილებას. მისთვის საჭირო არ არის იტიროს, რომ ატიროს საზოგადოება; ნუ უგდებთ ყურს,—ვინც თეატრსა და თამაშზე ლაპარაკობენ და ჩაგჩიჩინებენ დაივიწყეთ რო სცენაზე ხართო და სხვ., მათ არ გამოუცდიათ ესა, მხოლოდ თეორეთიკოსები არიან. ერიდეთ ადელვებას, ერიდეთ „ვდახნავლენიას“.

აბა, ჰკითხეთ დიდებულ ვ. აბაშიძეს, ის როლს თამაშობს თუ სცხოვრობს?

აბა, ჰკითხეთ ქართული სცენის დამამშვენებელს მსახიობს გაბუნიას—ხანუმას თამაშობს, თუ სცხოვრობს? უშიშრათ შემიძლიან ვსთქვა, რომ ერთიც და მეორეც თავიანთ როლებს თამაშობენ და არ სცხოვრობენ; რომ სცხოვრობდენ, ე. ი. დაივიწყონ თავიანთი როლი, იქნება ისე გულიანად არც-კი იცინო.

რა არის ხელოვნება, თუ არ შექმნა როლისა, ტიპისა?

ასე რომ იყოს, ე. ი. რომ ყველას, ვისაც პატარა ნიჭი აქვს და სცენაზე თამაშობა შეუძლია, მაშინ დრამატიული კურსები რაღა საჭირო იქნება? რად გვინდა სტანისლავსკები, სამსონები და მონე სულები?....

**გ. ჯაბადარი**

# სათეატრო ამბები

## ადგილობრივი

**მომავალ სეზონში** ჰფიქრობენ თვეში 10—12 წარმოდგენა გამართონ.

**ბუდუ მდივანმა** მომავალი სეზონისთვის ქართ. დრამ. დასში სმსახურის პირობას ხელი მოაწერა.

**რედაქციამ მიიღო „ეროს და პსიხეა“**-ს პირველი სამი სურათი, ბაბილინას-მიერ ნათარგმნი. პიესა მშვენიერის ლექსითაა ნათარგმნი. სულ 7 სურათია.

**სათ.-აზნ. საზაფხულო თეატრში** 18 ივლისიდან ფრანგული ჭიდაობა დაიწყო. მოჭიდავეთა შორის ბევრი ხელოვნურად და მოხდენილად ჭიდაობს.

**შემოდგომის სეზონი** დაიწყება 19 ენკენისთვეს პიესა „სამშობლო„-თი. პიესას სდგამს ვალ. შალიკაშვილი, სრულიად ახალი მიზან-სცენებითა და მოწყობილებით.

## რუსეთი

**უმაღლესის ნებართვით** მთელს იმპერიაში მოკრეფილ იქმნება შემოწირულება მ. ი. ლერმონტოვის ძეგლის დასადგმელად მოსკოვში.

**უკრაინელთა თეატრის მამამთავრის** კროპივნიცკის ძეგლის დასადგმელად ხელის მოწერით ფული გროვდება. ძეგლს კიევში დასდგავენ.

**პეტერბურგის კონსერვატორიაში** თხოვნათა შეტანის ვადა 20 აგვისტომდეა.

## უცხოეთი

**სენ-სანსმა** ეს-ეს არის დაამთავრა ახალი ოპერა „დეჟანირა“. პირველად მონტე-კარლოში დაიდგმის, შემდეგ პარიზში—Grand opera-ში.

**ჰენრიხ კადელბურგი**, პირველ რეჟისორად ცნობილი, გარდაიცვალა გულის სიგანივრით.

**გერმანიაში ჩეხოვის პიესები** ვერ იმარჯვებს. ჰაუპტმანის აზრით, გერმანიაში სრულიად არ ძალუძთ ჩეხოვის წარმოდგენა ვინაიდან გერმანელთა სამხატვრო გემოვნება ძლიერ ტლანქია, რის გამოც ვერ სწვდება ჩეხოვის ნაწარმოებთა სიმშვენიერესა და სულის კვეთებას.

**ჰაუპტმანი მწუხარებით** შესცქერის სამხატვრო თეატრის ბედს. „არ ვიცი კი რად,—ხოლო მგონია, ერთ მშვენიერ დღეს სამხატვრო თეატრი იგრძნობს სიკვდილის მოახლოვებასა და... სრულიად გაჰქრება კიდეცაო“, წარმოსთქვა ჰაუპტმანმა.

## დაბა-სოფლები

**დ. ხონი.** შაბათს, 14 ივლისს, გაიმართ მეტად იაფფასიანი წარმოდგენა. წარმოადგინეს „სიძე-სიმამრი“ ვ. გუნიასი და „ოთხი იმერელი“ დ. მესხისა. წარმოდგენაში მონაწილეობდა, სხვათა შორის, ბუდუ მდივანი. „სიძე-სიმამრი“ მეორედ დაიდგა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მსახიობნი საუცხოვოდ ასრულებდენ თავიანთ როლებს. „ოთხმა იმერელმა“ ბევრი აცინა საზოგადოება, მოთამაშეთაც კი, ბუდუ მდივნის გარდა, ვერ შეიკავეს სიცილი.

18 ივლისს ვალ. შალიკაშვილის საბენეფისოდ წარმოადგინეს იბსენის დრამა „ექიმი შტოკმანი“. წარმოდგენამ გვარიანად ჩაიარა. კარგი იყო ვ. შალიკაშვილი ექიმი შტოკმანის როლში. საუცხოვო იყო ალაგ-ალაგ გოფსტადის როლში ბუდუ მდივანი. ბურგომისტრის როლში ი. რუხაძეს არა უშავდა-რა. მშვენიერი ასლაკსენი იყო ნ. გვარაძე.

დანარჩენები წარმოდგენის საერთო მსვლელობას ხელს უწყობდენ. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო. მობენეფისემ საჩუქრები მიიღო.

**ტეზი**

**ლაგოდეხი.** 10 ივლის სომეხთა სამრევლო სკოლაში ი. გრიშაშვილისა და ა. შანშიაშვილის მეთაურობით ქიზიყის სცენის მოყვარეთა დახმარებით, წარმოდგენილი იქმნა „ა რ ს ე ნ ა“ დრ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა და „გეურქ-აღა და შანტაჟისტები„ ვოდ. 1 მოქ. წარმოდგენამ მშვენივრათ ჩაიარა, საუცხოვოდ ითამაშა გრიშაშვილმა სირაჯის როლი და გეურქ-აღა. ხალხი დიდათ ნასიამოვნები დაიშალა.

სასურველია ხშირად შემოიხედონ ქართველმა მსახიობებმა ბუნებით მდიდარს კავკასიონის ქედის ძირში.

**გიორგი დონჯაევი**

რედაქტორ-გამომცემელი **იოსებ იმედაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჟურნალი „თეატ. და ცხოვ." ბეჭდავს განცხადებებს

**რედაქციისაგან:** გასული კვირის ნომრის (28) გვერდები (9, 5, და 13, 12 — ერთი მეორის ადგილას) მეტრანპაჟის დაუდევრობით არეულად დაიბეჭდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით მკითხველთა წინაშე. უკვე ზომებია მიღებული, რომ ასეთი ალარაფერი მოხდეს-რა. ამ ნაკლის შესავსებათ წლიური ხელისმომწერნი პრემიათ მიიღებენ ტრ. რამიშვილის დრამას **„საბედისწერო დამბაჩა"-ს**

რედ.


# სახალ. გაზ.

ყოველ-დღ. საპოლიტ. სალიტერატ. ამოცემა, კვირეული სურათებიანი დამატებით წლიურად 8 მან. ნახევარ წლით 4 მან 50 კ. რედაქტ.-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილი** სა

ადრესი: Тифлисъ, Бољшая Ванкская ул., № 12, Сем. Пашалашвили.

# ახალი გზა

ყოველდღ. საპოლიტიკ. სალიტერ. გაზეთი. წლიურად 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. საზღვარ-გარედ 14 მან. ნახევარი წლით 7 მან. რედაქტ.-გამომც. **ზ. ტყეშელაშვილი**

ადრესი: Тифлисъ, тип., «Шрома»,

**Кал. Кон. Цуладзе.**

# ЗАКАВКАЗЬЕ

Ежедне́вное изданiе. За год въ Тифлисѣ 6 руб. полгода 3 р. 50 к., въ другiе города—8 руб.,—4 р 50 к.—Тифлисъ Эриванская площадь, д. Гургенова:

Ред-изд. Кн. **Г. I. Амираджиби.**

# НОВАЯ РѢЧЬ

**Ежедн. общ.-полит. литературная газета**

На годъ 7 руб., $1/_2$ года 4 руб. помѣсячно 75 коп. Тифлисъ, Дворцовая ул. д. Груз. Двор. ред. «Новая рѣчь».

Ред. **Р. Д. Бебiевъ**. Из. **П. А. Готуа**

# ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი. XXI წელ. წლიურად 4 მან. თითო წიგნი 40 კ. რედაქტორ-გამომცემელი **ან. თ.- წერეთლისა**



**კვირას 25 ივლისს**

ქართულს საზაფხულო თეატრში

გაიმართება **შესანიშნავი ფრანგული**

# ჭიდაობა



**ცნობილი მოჭიდავის ეიჟენის ხელმძღვანელობით.** ჩამოსულია 20 მოჭიდავე ფალავანი.

კვირას იჭიდავებენ ხუთი წყვილი ფალავანი. **ადგილების ფასი** 30 კ.—2 მან.

**ყველასათვის ხელმისაწდომია**

ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფი უჩვენებს **საინტერესო, სამეცნიერო და გასართობ სურათებს.**

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარდან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. № 695.

**ვ. ვაშაყმაძე** —ყოველ დღე 9—11 საათ. კბილის ავადმყოფ.

**შ. ა. მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^1/_2$—$2^1/_2$ საათ.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^1/_2$ საათ. სიფილისი, კანისა და ვენ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. დი ქალების, 1—2 საათ.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ.. ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 საათ.

**ვ. გ. ფედოროვი** ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა, ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექიმი აღამალოვის მკვლელნი



ცოლქმარი—არშაკა სარქისას-ძე მარტიროზიანცი, 19 წლისა, თბილისელი დურგლის შვილია, ფერშლად ნამყოფი. მისი ცოლი თამარა გალუსტას-ასული 17 წლისა, თბილისელი ბაყლის ქალია. მკვლელობა მოხდა რომანიულ ნიადაგზე, შურისძიების განზრახვით. როგორც გამოძიებიდან სჩანს. 13 წლის თამარასთვის ექიმს აღამალოვს ნამუსი აუხდია. არკადი მარტიროზოვმა ამ ერთი წლიხ წინად შეირთო თამარა. და რაკი გაიგო ქალის გამაუპატიურებელი კაცის სახელი, ცოლიც დაითანხმა მის მოსაკლავად. 14 ივლისს შუადღისას ექ. აღამალოვი მიიწვია მარტიროზოვმა, ვითომ და ავადმყოფ ცოლის სანახავად, აჩვენა კიდეც ცრუ ავადმყოფი—ცოლი და როცა ექიმი რეცეპტს სწერდა, მარტიროზოვმა რევოლვერი დაახალა. უსულოთ დაცემულს ექიმის გვამს თავი მოსჭრა და ასო-ასოდ უპირებდა აკუწვას, მაგრამ ველარ შესძლო ხელის გაჭრის გამო. შემდეგ ცოლ-ქმართ კარი მიკეტეს და ფაიტონით თელეთისაკენ გავიდნენ პოლიციამ მალე მიაგნო კვალს და ორივე შეიპყრო. ბრალდებულნი დატუსაღებულნი არიან.

ექ. ვ. დ. ლამბაშიძის

სანატორიუმი

პატარა ცემში

ბაკურიანის რკინის გზაზე, 4,400 ფ. სამაღლე

გაიხსნება 15 ივნისიდან 31 მარიამოგისთვემდე

ორის განყოფილებით, ერთი — საბავშვო, მეორე — დიდებისათვის.

პირობების გასაგებად წერილით უნდა მიმართონ ბორჯომით პატარა ცემს ექიმს ვახტანგ ლამბაშიძეს. 10—5